პროექტის შესახებ / ABOUT THE PROJECT

“მეწარმეობის სწავლების პოტენციალი სკოლებში (PEERS)” არის სკოლა-ლაბის ინიციატივა, რომელიც გულისხმობს ვიშეგრადის ქვეყნებში მეწარმეობის სწავლებასთან დაკავშირებული საუკეთესო გამოცდილებებისა და პრაქტიკების გაზიარებასა და ჩვენს ქვეყანაში დანერგვას. გრძელვადიან პერსპექტივაში ინიციატივა ხელს შეუწყობს საქართველოს სკოლებში მეწარმეობის სწავლების მდგრადი ჩარჩოს ჩამოყალიბებას, რაც თავის მხრივ, მნიშვნელოვნად გაზრდის სამეწარმეო უნარების მქონე ადამიანური კაპიტალის რაოდენობას. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ინოვაციური და მონაწილეობითი მიდგომით მეწარმეობის სწავლების შესახებ ძირითადი რესურსების შემუშავება, მასწავლებლებისა და განათლების სპეციალისტების კომპეტენციების ამაღლების კუთხით აქტიური მუშაობა, პოლიტიკის დონეზე რეკომენდაციების შემუშავება და ასევე, აქტიური ადვოკატირების კამპანიის წარმოება.

ექსპერტების მიერ აღიარებულია, რომ მეწარმეობის სწავლება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ახალგაზრდებში, ერთი მხრივ, დასაქმების პრობლემის მოგვარებას და მეორე მხრივ, ავითარებს უამრავ ისეთ უნარებს, რომლებსაც გრძელვადიან პერსპექტივაში სასიკეთო სოციალური ცვლილებების მოტანა შეუძლია. სწორედ ამიტომ, სკოლებში მეწარმეობის სწავლების სათანადო დანერგვა, მასწავლებლებისა და სხვა დაინტერესებული პირების კომპეტენციების ამაღლება, ვიშეგრადის ქვეყნების გამოცდილების გაზიარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ბევრი პრობლემის მოგვარებას.

Potentials of Entrepreneurship Education in Schools – PEERS is an initiative to transfer best practices and experiences on applying entrepreneurship education in schools in Visegrad countries to Georgia. In the long term, it contributes to establishing a sustainable framework for school-based entrepreneurship education (EE), uniformly raising human capital in Georgia. PEERS includes the development of key resources on EE with an innovative and participatory approach, competence development for teachers and educational professionals as well as policy recommendations and advocacy.

It is recognized by experts that entrepreneurship education contributes, on the one hand, lowering the youth employment rate and on the other hand contributes to developing crucial life skills which in the long term brings valuable social changes. Therefore enriching entrepreneurship education, raising the competencies of teachers and other stakeholders, sharing the experience of the Visegrad countries will significantly contribute to solving many problems.